ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N61

2018 წლის 11 აპრილი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N275-ის მიმდებარედ 6147,0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.42.01.046);

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს შემდეგი პირობებით:

ა) საკუთრებაში 'გადაცემული მიწის ნაკვეთიდან გამოყოფილ იქნას 1448 კვ.მ მიწის ნაკვეთი, განკარგულებაზე თანდართული სიტუაციური ნახაზის ფარგლებში, ზღვის სანაპიროზე გადასვლელის მოწყობის მიზნით.

ბ) გადასავლელის მოწყობის შემდეგ ამ განკარგულების მეორე მუხლის ,,ა" პუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთი დაბრუნებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

ბ) დარჩენილი 4699 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვა განხორციელდეს და ნასყიდობის ღირებულება ჩაირიცხოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

გ) ამ განკარგულების მეორე მუხლის ,,ა" (გადასასვლელის მოსაწყობად) და ,,ბ" პუნქტით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს არანაკლებ 1000000 (ერთი მილიონი) ლარის ინვესტიცია და ასევე მოეწყოს ავტოსადგომი.

დ) საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება წინამდებარე განკარგულების მე-2 ,,ა"

ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება, თუნდაც ერთი რომელიმე პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქობულეთის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30;

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

საკრებულო

24001890

ქ. ქობულეთი
აღმასენებლის გამზირი 275 მიმდ.
ნაკვეთის ფართი: 1448 კვმ